სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის №510 "სარკინიგზო ტრანსპორტი"-ს დეპარტამენტის ინიციატივით ფაკულტეტზე არსებული **"თეგეტა-მოტორსის"** სახელობის აუდიტორიაში მოეწყო გაფართოებული შეხვედრა დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და მოქმედ სტუდენტებთან, შეხვედრაზე მოხდა მოდიფიცირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა **"ტრანსპორტი"-ს** პრეზენტაცია, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და მთავარი სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი, დეპარტამენტების უფროსები და პროფესორ-მასწავლებლები. მთლიანობაში შეკრებას ესწრებოდა 80-ზე მეტი პირი, სადაც გაიმართა დისკუსია დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს შორის. შეხვედრა იყო ნაყოფიერი, გამოითქვა მთელი რიგი მოსაზრებები, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებით, ასევე სტუდენტებისათვის საჭირო აქტუალურ საკითხებზე, როგორც სწავლის შემდეგ საფეხურებზე (მაგისტრატურა, დოქტორანტურა) გაგრძელების, ასევე მათი წარმოება-დაწესებულებებში დასაქმების მიმართულებით.

JCB
JCB